

შპს „ჯი-ეს-ემ ტრანსი“ (ს/ნ 204521017)

ინდივიდუალური ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შ ი ნ ა ა რ ს ი

#	დოკუმენტის დასახელება	გვ
1	დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „ჯი-ეს-ემ ტრანსის“ (ს/ნ 204521017) 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის ინდივიდუალური ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების აუდიტის შედეგების შესახებ	3 - 8
2	შპს „ჯი-ეს-ემ ტრანსის“ 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები	9 - 25
2.1	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	9
2.2	მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	10
2.3	ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	11
2.4	საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	12
2.5	ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები შპს „ჯი-ეს-ემ ტრანსის“ 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	13 - 25
3	მმართველობის ანგარიშგება (2024 წლის საქმიანობის მიმოხილვა)	26 – 29

შპს „ჯი-ეს-ემ ტრანსის“ ხელმძღვანელობას და პარტნიორებს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჯი-ეს-ემ ტრანსის“ (ს/ნ 204521017) 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური და მმართველობის
ანგარიშგებების აუდიტის შედეგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჯი-ეს-ემ ტრანსის“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების აუდიტი, რომელიც მოიცავს: 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას; მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებას; ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას; საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებას და ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას. ასევე, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგებას.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო

შპს „აუდიტი და კონტროლი“, ს/ნ 401952856, <http://auditcontroll.com/>
0159 თბილისი, დიღმის მასივი, მე-4 კვარტალი, I კორპუსი, ბ.№5.
გარიგების პარტნიორი: გაია ტუხაშვილი, რეგისტრირებულია სახელმწიფო რეესტრში:
№ SARAS-A-469815; № SARAS-F-833498, auditori.tukhashvili@gmail.com; ტელ.599 54 03 55
პროფესიული პასუხისმგებლობა დაზღვეულია 200.000 ლ

3
გვერდი

სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან და სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ

შპს „აუდიტი და კონტროლი“, ს/ნ 401952856, <http://auditcontroll.com/>
0159 თბილისი, დიღმის მასივი, მე-4 კვარტალი, I კორპუსი, ბ.№5.
გარიგების პარტნიორი: გაია ტუხაშვილი, რეგისტრირებულია სახელმწიფო რეესტრში:
№ SARAS-A-469815; № SARAS-F-833498, auditori.tukhashvili@gmail.com; ტელ.599 54 03 55
პროფესიული პასუხისმგებლობა დაზღვეულია 200.000 ლ

4
გვერდი

შთაბეჭდილებას, რომ შეიცავს არსებით უზუსტობას აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ ჩატარებული პროცედურებიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების ფარგლებში აღმოვაჩენთ, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, მოგვეთხოვება ამ ფაქტის გაცხადება.

ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

► ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების

განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება

უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული
ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

- ▶ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას
ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში
წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში
გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის
შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი მოსაზრებით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით,
კომპანიის 2024 წლის ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი
ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ✓ თანხდენილია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
მომზადებულ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ✓ შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით
„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და
შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

გია ტუხაშვილი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-469815)

შპს „აუდიტი და კონტროლი“ (SARAS-F-833498)

23 სექტემბერი 2025

თბილისი, საქართველო



შპს „აუდიტი და კონტროლი“, ს/ნ 401952856, <http://auditcontroll.com/>
0159 თბილისი, დიდშის მასივი, მე-4 კვარტალი, I კორპუსი, ბ.№5.
გარიგების პარტნიორი: გია ტუხაშვილი, რეგისტრირებულია სახელმწიფო რეესტრში:
№ SARAS-A-469815; № SARAS-F-833498, auditori.tukhashvili@gmail.com; ტელ.599 54 03 55
პროფესიული პასუხისმგებლობა დაზღვეულია 200.000 ლ

8
გვერდი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	12,025,652	9,033,465
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში		493,342	534,748
არამატერიალური აქტივები		19,589	17,239
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	2,729,393	1,796,957
გაცემული ავანსები		152,872	114,629
მარაგები	9	147,914	205,137
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7	7,288,427	8,087,076
სხვა მოკლევადიანი აქტივები		572	470
სულ აქტივები		22,857,761	19,789,721
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	11	292,903	868,901
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ		35,450	43,711
საგადასახადო ვალდებულებები	12	85,956	90,861
სულ ვალდებულებები		414,309	1,003,473
გაუნაწილებელი მოგება		22,443,452	18,786,248
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		22,857,761	19,789,721

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 19 სექტემბერს.

დირექტორი:



/ელგუჯა სოზაშვილი/

ბუღალტერი:

მაიატალია წიკლაური/

(Handwritten signatures in blue ink)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	12,025,652	9,033,465
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში		493,342	534,748
არამატერიალური აქტივები		19,589	17,239
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	2,729,393	1,796,957
გაცემული ავანსები		152,872	114,629
მარაგები	9	147,914	205,137
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7	7,288,427	8,087,076
სხვა მოკლევადიანი აქტივები		572	470
სულ აქტივები		22,857,761	19,789,721
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	11	292,903	868,901
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ		35,450	43,711
საგადასახადო ვალდებულებები	12	85,956	90,861
სულ ვალდებულებები		414,309	1,003,473
გაუნაწილებელი მოგება		22,443,452	18,786,248
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		22,857,761	19,789,721

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 19 სექტემბერს.

დირექტორი: /ელგუჯა სოზაშვილი/

ბუღალტერი: /ნატალია წიკლაური/

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო შემოსავალი	15	17,952,273	17,047,223
თვითღირებულება	16	(8,326,403)	(7,823,032)
საერთო მოგება		9,625,869	9,224,191
ადმინისტრაციული ხარჯები	17	(5,794,774)	(5,685,736)
სხვა მოგება, ნეტ	18	69,152	162,563
ფინანსური შემოსავალი		362,329	93,851
ძირითადი საშუალებების გადაფასება		118,480	-
მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე		4,381,056	3,794,869
მოგების გადასახადი		(123,213)	(59,171)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება		4,257,843	3,735,697

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 19 სექტემბერს.

დირექტორი:



/ელგუჯა სოზაშვილი/

ბუღალტერი:

/ნატალია წიკლაური/

(Handwritten signatures in blue ink)

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო შემოსავალი	15	17,952,273	17,047,223
თვითღირებულება	16	(8,326,403)	(7,823,032)
საერთო მოგება		9,625,869	9,224,191
ადმინისტრაციული ხარჯები	17	(5,794,774)	(5,685,736)
სხვა მოგება, ნეტ	18	69,152	162,563
ფინანსური შემოსავალი		362,329	93,851
ძირითადი საშუალებების გადაფასება		118,480	-
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		4,381,056	3,794,869
მოგების გადასახადი		(123,213)	(59,171)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება		4,257,843	3,735,697

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 19 სექტემბერს.

დირექტორი:

/ელგუჯა სოზაშვილი/

ბუღალტერი:

/ნატალია წიკლაური/

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	2024	2023
მომსახურების გაწევიდან მიღებული თანხები	17,733,304	16,741,615
მომწოდებლებისთვის გადახდილი თანხები	(10,021,027)	(8,398,381)
დაქირავებულთა ანაზღაურება	(4,455,947)	(4,052,208)
საპროცენტო შემოსავლების მიღება	362,329	72,501
სხვა გადასახადების გადახდა გარდა მოგებისა	(207,299)	(739,674)
ბიუჯეტიდან დაბრუნებული თანხები	201,166	196,820
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	3,612,526	3,820,583
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი თანხები	(3,753,864)	(2,395,263)
ძირითადი საშუალებების რეალიზებიდან მიღებული თანხები	25,773	-
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(3,728,091)	(2,395,263)
დივიდენდის გადახდა	(608,857)	(279,910)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(608,857)	(279,910)
ფულის წმინდა ზრდა წლის განმავლობაში	(724,422)	1,145,410
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა	(74,227)	398,223
ფულადი სახსრები წლის დასაწყისში	8,087,076	6,543,443
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	7,288,427	8,087,076

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 19 სექტემბერს.

დირექტორი:

ბუღალტერი:



/ელგუჯა სოზაშვილი/

/ნატალია წიკლაური/

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	2024	2023
მომსახურების გაწევიდან მიღებული თანხები	17,733,304	16,741,615
მომწოდებლებისთვის გადახდილი თანხები	(10,021,027)	(8,398,381)
დაქირავებულთა ანაზღაურება	(4,455,947)	(4,052,208)
საპროცენტო შემოსავლების მიღება	362,329	72,501
სხვა გადასახადების გადახდა გარდა მოგებისა	(207,299)	(739,674)
ბიუჯეტიდან დაბრუნებული თანხები	201,166	196,820
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	3,612,526	3,820,583
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი თანხები	(3,753,864)	(2,395,263)
ძირითადი საშუალებების რეალიზებიდან მიღებული თანხები	25,773	-
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(3,728,091)	(2,395,263)
დივიდენდის გადახდა	(608,857)	(279,910)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(608,857)	(279,910)
ფულის წმინდა ზრდა წლის განმავლობაში	(724,422)	1,145,410
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა	(74,227)	398,223
ფულადი სახსრები წლის დასაწყისში	8,087,076	6,543,443
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	7,288,427	8,087,076

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 19 სექტემბერს.

დირექტორი: /ელგუჯა სოზაშვილი/

ბუღალტერი: /ნატალია წიკლაური/

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	15,385,456	15,385,456
2023 წლის მოგება	3,735,697	3,735,697
გამოცხადებული დივიდენდი	(334,905)	(334,905)
კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	18,786,248	18,786,248
2024 წლის მოგება	4,257,843	4,257,843
გამოცხადებული დივიდენდი	(600,639)	(600,639)
კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	22,443,452	22,443,452

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 19 სექტემბერს.

დირექტორი:

ბუღალტერი:



/ელგუჯა სოზაშვილი/

/ნატალია წიკლაური/

(Handwritten signatures in blue ink)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	15,385,456	15,385,456
2023 წლის მოგება	3,735,697	3,735,697
გამოცხადებული დივიდენდი	(334,905)	(334,905)
კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	18,786,248	18,786,248
2024 წლის მოგება	4,257,843	4,257,843
გამოცხადებული დივიდენდი	(600,639)	(600,639)
კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	22,443,452	22,443,452

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 19 სექტემბერს.

დირექტორი: /ელგუჯა სოზაშვილი/

ბუღალტერი: /ნატალია წიკლაური/

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

• შენიშვნა 1

ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ჯი-ეს-ემ ტრანსი“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანიის“ იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, ზაქესის დასახლება, მ. წინამძღვრიშვილის ქ. №20.

„კომპანიის“ ძირითადი საქმიანობაა სატვირთო საგზაო ტრანსპორტი და გადაზიდვის მომსახურება. კომპანიის დამატებითი საქმიანობაა უძრავი ქონების იჯარით გაცემა.

შპს „ჯი-ეს-ემ ტრანსი“ რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში 2006 წლის 17 დეკემბრიდან და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 204521017. დამატებითი ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულია 2007 წლის 10 თებერვლიდან. „კომპანიის“ დირექტორი დაფუძნებიდან დღემდე არის ელგუჯა სოზაშვილი.

„კომპანიის“ პარტნიორები ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არიან:

ელგუჯა სოზაშვილი (პ/ნ 01029008999) – 75 % წილით

დემნა სოზაშვილი (პ/ნ 01019067958) – 25% წილით.

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნების დაცვით.

• შენიშვნა 2

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

• შენიშვნა 3

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით. „კომპანია“-ს აქვს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებად საწარმომ. ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს „კომპანიის“ ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის ასე მოიქცეს.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ისევე როგორც წარსულში „კომპანია“ მომგებიანია, და ფინანსური რესურსები მისთვის სტაბილურად ხელმისაწვდომია. ფუნქციონირებადი საწარმოს

მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს შემდეგ ფაქტებს უწყვეტობის შესახებ დაშვების ადეკვატურობის შეფასებისას:

- „კომპანია“ წარსულშიც და დღესაც მომგებიანია.
- 2024 და 2023 წლებში „კომპანიამ“ საოპერაციო საქმიანობიდან მიიღო ფულადი სახსრების საკმარისი ოდენობა შემდგომში საქმიანობის განსახორციელებლად.
- 2024 და 2023 წლების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ „კომპანია“ მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

• შენიშვნა 4

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ამონაგების აღიარება

„კომპანიისთვის“ ამონაგები არის შემოსავალი, რომელსაც იღებს მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან.

„კომპანიის“ მიერ ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას. „კომპანია“ ამონაგებში რთავს მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიან თანხას.

„კომპანია“ ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშო პერიოდის ბოლოს. მომსახურების გაწევის ოპერაციას საიმედოდ აფასებს მაშინ, როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშო პერიოდის ბოლოს და
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თუ შეუძლებელია მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული შედეგის საიმედოდ შეფასება, მაშინ „კომპანია“ ამონაგებს აღიარებს მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

ფინანსური ინსტრუმენტები

„კომპანია“-ის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია ფულადი სახსრების, სავაჭრო მოთხოვნების, სავაჭრო ვალდებულებების სახით.

ფინანსურ აქტივს და ფინანსურ ვალდებულებას „კომპანია“ პირველად აღიარებს გარიგების ფასით. ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობით საქონლის გაყიდვის შემთხვევაში „კომპანია“ მოთხოვნას აღიარებს მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, რომელიც სახელშეკრულებო თანხის ტოლია. ხოლო გრძელვადიანი მოთხოვნების შემთხვევაში მოთხოვნა აღიარდება მომავალში მისაღები ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულებით.

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობით საქონლის/მომსახურების შეძენის შემთხვევაში ვალდებულებას კომპანია აღიარებს მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

„კომპანია“ ყოველი ფინანსური აქტივისათვის აფასებს გაუფასურებას ან თანხის ამოღების შეუძლებლობას.

ფინანსური აქტივის და ვალდებულებების აღიარება წყდება თუ „კომპანიისთვის“ ცნობილი გახდა გაუფასურების გამომწვევი შემდეგი მოვლენები:

- ხელშეკრულების პირობების დარღვევა;
- დებიტორის ფინანსურ სიმძლევებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან იურიდიული მიზეზების გამო, როდესაც მოსალოდნელი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი; ან
- ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდა ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც „კომპანია“ მიიღებდა მიმდინარე საანგარიშო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად. ძირითად საშუალებაზე სასარგებლო მომსახურების ვადები განსაზღვრულია შემდეგნაირად :

დასახელება	მომსახურების წლები
შენობები	25-50
ნაგებობები	25-50
მანქანა-დანადგარები	10
ოფისის აღჭურვილობა	5-17
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-17
სატრანსპორტო საშუალებები	13-15
სამშენებლო ინვენტარი	5-15

თუ არსებობს ნიშანი იმისა , რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად. კომპანია არამატერიალური აქტივის სახით ფლობს საბუღალტრო პროგრამას.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის „კომპანია“ იყენებს „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდს.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში „კომპანიის“ მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგება ან ზარალში წრფივი მეთოდით შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალების, არამატერიალური აქტივები და სხვა აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია , საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება ან ზარალში.

იმ შემთხვევაში თუ, შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა, აქტივის საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის ძირითადი საშუალების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, „კომპანია“-ის მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემო აღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი ოპერაციის თარიღისთვის. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთ სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

- **შენიშვნა 5**

გადასახადები

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, სადაზღვეო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის პირველი იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ დამფუძნებლებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, გადახდის ფაქტიური თარიღის ან პერიოდისგან დამოუკიდებლად. ცალკეულ შემთხვევებში, დაშვებულია გამოქვითვები მოგების გადასახადზე დარიცხვებიდან, რომლებიც აღირიცხება შესაბამის განაწილებაზე მოგების გადასახადზე ხარჯების შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებების გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის არ წარმოიქმნება რაიმე გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

„კომპანიის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს გარკვეული ოპერაციების, რომლებიც განიხილება დივიდენდების ფარულ განაწილებად (მაგალითად, ოპერაციები არასაბაზრო ფასით, ხარჯები ან საქონლის და მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდება, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან) მოგების გადასახადით დაბეგვრას. მსგავსი ოპერაციების დაბეგვრა ექვემდებარება აღრიცხვას საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების ანალოგიურად და წარმოდგენილია „სხვა საგადასახადო ხარჯების“ სახით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

- თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევებიდან გამომდინარე.
- დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

„კომპანიის“ ძირითადი ეკონომიკური საქმიანობა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით განთავსებულია დღგ-ის გადასახადისგან ჩათვლის უფლებით.

საშემოსავლო გადასახადი

„კომპანია“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით -20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

• შენიშვნა 6

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები, პირობითი აქტივები.

ანარიცხები

„კომპანია“ ანარიცხებს აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- საწარმოს საანგარიშგებო თარიღისათვის აქვს ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად;
- მოსალოდნელია (უფრო შესაძლებელია მისი მოხდენა, ვიდრე არ მოხდენა) რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან; და
- შესაძლებელია ვალდებულებების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

„კომპანია“ ანარიცხს აღიარებს, როგორც ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ანარიცხის ტოლი თანხა აღიარდება ხარჯად თუ მსს ფასს-ის სტანდარტის სხვა განყოფილება არ მოითხოვს მისი ღირებულების ასახვას ისეთი აქტივის თვითღირებულების შემადგენელი ნაწილის სახით, როგორცაა ძირითადი საშუალებები ან მარაგი.

წარსულში აღიარებული ანარიცხების კორექტირება ხდება მოგება ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი თავდაპირველად აღიარებული იყო სხვა აქტივის ღირებულებაში.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულება არის შესაძლო, მაგრამ გაურკვეველი ვალდებულება, რომელიც არ აღიარდება იმიტომ, რომ არ არის შესაძლებელი ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულების შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია განმარტებით შენიშვნებში, ვინაიდან რესურსის გასვლა მოსალოდნელი არ არის შორეულ მომავალში.

პირობითი აქტივი

„კომპანია“ არ აღიარებს პირობით აქტივს. ინფორმაცია პირობითი აქტივის შესახებ გამჟღავნებულია განმარტებით შენიშვნებში.

იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში ექვს არ იწვევს მოცემული აქტივი არ წარმოადგენს პირობით აქტივს და მართებულია მისი აღიარება აქტივის სახით.

- შენიშვნა 7

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ვალუტა	2024	2023
დოლარი	4,081,917	4,954,905
ევრო	3,084,642	3,003,652
ლარი	106,940	25,224
რუბლი	14,928	103,295
სულ	7,288,427	8,087,076
თანხები დეპოზიტზე	7,255,081	6,702,546
ფული საბანკო ანგარიშებზე	16,836	1,325,442
ნაღდი ფული სალაროში	16,510	59,087

- შენიშვნა 8

სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მოკლევადიანი აქტივები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,448,623	1,752,760
წინასწარ გაწეული ხარჯები	219,632	-
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	61,138	44,197
სულ მოთხოვნები	2,729,393	1,796,957

- შენიშვნა 9

მარაგები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მუხლში აღრიცხულია ის ნედლეული და მასალა, რომელსაც კომპანია იყენებს სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტისათვის და ასევე რეალიზაციის მიზნით.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საწვავი	87,503	21,925
სათადარიგო ნაწილები	43,765	160,736
სამშენებლო მასალები	4,975	6,610
ზეთები	3,867	7,210
სხვა მარაგები	7,804	8,656
ჯამი	147,914	205,137

- შენიშვნა 10

ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთი	შენობები	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სამშენებლო აქტივები	სხვა აქტივები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
<i>ისტორიული ღირებულება</i>											
2022 წლის 31 დეკემბერი	1,064,957	609,338	231,240	39,339	37,775	80,359	5,150,378	12,716	35,521	-	7,261,623
შესყიდვები/დამატებები	1,231,164	1,452,901	-	6,776	5,436	10,741	1,587,827	-	1,251	-	4,296,095
რეალიზაცია/ჩამოწერა	-	-	-	(8,381)	-	(5,522)	(89,036)	-	(35,521)	-	(138,460)
2023 წლის 31 დეკემბერი	2,296,121	2,062,238	231,240	37,733	43,212	85,579	6,649,168	12,716	1,251	-	11,419,258
შესყიდვები/დამატებები	454,900	2,518	-	-	7,140	18,168	616,492	-	-	2,245,188	3,344,406
რეალიზაცია/ჩამოწერა	-	-	-	(1,688)	-	(604)	(139,337)	-	-	-	(141,629)
აფასება	-	-	-	455	682	349	114,846	2,149	-	-	118,480
2024 წლის 31 დეკემბერი	2,751,021	2,064,757	231,240	36,500	51,034	103,492	7,241,169	14,865	1,251	2,245,188	14,740,515
<i>აკუმულირებული ცვეთა</i>											
2022 წლის 31 დეკემბერი	-	(61,283)	(53,140)	(22,201)	(17,844)	(17,708)	(1,787,771)	(4,264)	-	-	(1,964,212)
2023 წლის ცვეთა	-	(22,260)	(10,674)	(2,473)	(5,286)	(2,145)	(437,252)	(1,038)	-	-	(481,128)
გასული აქტივის ცვეთა	-	-	-	7,588	-	3,832	48,126	-	-	-	59,546
2023 წლის 31 დეკემბერი	-	(83,543)	(63,814)	(17,085)	(23,130)	(16,022)	(2,176,897)	(5,302)	-	-	(2,385,793)
2024 წლის ცვეთა	-	(48,795)	(11,909)	(2,950)	(6,562)	(2,009)	(389,208)	(23)	-	-	(461,456)
გასული აქტივის ცვეთა	-	-	-	1,434	-	-	130,952	-	-	-	132,386
2024 წლის 31 დეკემბერი	-	(132,338)	(75,723)	(18,600)	(29,693)	(18,031)	(2,435,154)	(5,325)	-	-	(2,714,863)
2022 წლის 31 დეკემბერი	1,064,957	548,055	178,101	17,138	19,931	62,651	3,362,606	8,452	35,521	-	5,297,412
2023 წლის 31 დეკემბერი	2,296,121	1,978,695	167,426	20,648	20,081	69,557	4,472,271	7,414	1,251	-	9,033,465
2024 წლის 31 დეკემბერი	2,751,021	1,932,419	155,517	17,900	21,341	85,461	4,806,015	9,540	1,251	2,245,188	12,025,652

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების ოდენობა ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ელემენტი:

- მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო, საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე
- ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.
- აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში ან შემდეგში.

კომპანიას ასევე გააჩნია მიწის ნაკვეთები:

	ს/კ	საბალანსო ღირებულება
მიწის ნაკვეთი 1	72.12.02.507	459,822
მიწის ნაკვეთი 2	72.12.02.508	605,135
მიწის ნაკვეთი 3	01.72.12.102.008	1,231 164
მიწის ნაკვეთი 4	72.13.33.455	284,500
მიწის ნაკვეთი 5	72.13.33.431	170,400
სულ ღირებულებით		2,751,021

- შენიშვნა 11

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
დავალიანება გადამზიდველებთან	210,984	655,290
დავალიანება მომწოდებლებთან	81,919	175,361
სახელფასო ვალდებულებები	35,450	43,711
გადასახდელი დივიდენდი	-	38,250
ჯამი	328,353	912,612

- შენიშვნა 12

საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულების მუხლში ჩართულია 2024 წლის დეკემბრის თვეში დარიცხული საბიუჯეტო გადასახადები, რომელთა გადახდის ვადა ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის ამოწურული არ არის.

- შენიშვნა 13

მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები

„კომპანია“ 2024 და 2023 წლის განმავლობაში სასესხო ვალდებულებები არ ქონია.

- შენიშვნა 14

დივიდენდი

2024 წლის საანგარიშო პერიოდში გამოცხადებულმა დივიდენდმა შეადგინა 600,639 ლარი.

2023 წლის საანგარიშო პერიოდში გამოცხადებულმა დივიდენდმა შეადგინა 334,905 ლარი.

- შენიშვნა 15

საოპერაციო შემოსავალი

	2024	2023
გადახდების მომსახურება	17,317,381	16,791,401
იჯარა	560,561	160,238
საქონლის რეალიზაცია	74,331	81,131
სხვა შემოსავალი	-	14,453
სულ	17,952,273	17,047,223

- შენიშვნა 16

თვითღირებულება

	2024	2023
ტრანსპორტირების ხარჯები	5,717,381	5,634,224
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	2,010,644	1,557,704
ცვეთა	452,862	473,696
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	62,126	78,815
დაზღვევა	83,391	78,593
სულ ხარჯები	8,326,403	7,823,032

- შენიშვნა 17

ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
სამივლინებო ხარჯები	2,029,872	2,255,018
თანამშრომელთა ანაზღაურება	2,572,153	2,385,035
რემონტი	665,457	649,641
ნებართვები და ლიცენზიები	194,285	124,155
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	147,208	88,049
კომუნიკაციისა და კომუნალური ხარჯები	62,434	53,220
დაცვა	46,986	26,110
პროფესიული მომსახურებები	16,838	39,254
საკომისიო ხარჯები	9,291	15,533
ცვეთა	8,571	7,431
სამეურნეო ხარჯი	5,841	8,196
სხვა ხარჯები	35,838	34,096
სულ ხარჯები	5,794,774	5,685,736

- შენიშვნა 18

სხვა მოგება, ნეტ

	2024	2023
სხვა არასაოპერაციო მოგება:		
ზარალის ანაზღაურება	144,057	-
მოგება ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	25,575	-
მიღებული მოგება გადაფასებიდან	-	188,334
სხვა არასაოპერაციო ზარალი:		
მიღებული ზარალი კონვერტაციიდან	(20,477)	(19,081)
მიღებული ზარალი გადაფასებიდან	(32,292)	-
სხვა	(47,712)	(6,690)
სულ ხარჯები	69,152	162,563

• შენიშვნა 19

ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები დაკავშირებულ მხარეებთან მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის დაკავშირებულ მხარეებთან დასაფარი ნაშთები იყო შემდეგი:

	2024	2023
მოთხოვნები იჯარის მომსახურებიდან	86,031	778
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	9,590	323
დავალიანება გადამზიდველებთან	(43,778)	(487,245)
მიღებული ავანსები	(17,751)	-

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლის და ხარჯის მუხლები შემდეგია:

	2024	2023
ტრანსპორტირების ხარჯები	(1,550,354)	(1,797,628)
შემოსავალი იჯარიდან	560,561	157,025
შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან	74,331	-
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	33,961	-

დირექტორი:



/ელგუჯა სოზაშვილი/

ბუღალტერი:

/ნატალია წიკლაური/

(Handwritten signatures in blue ink)

- შენიშვნა 19

ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები დაკავშირებულ მხარეებთან მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის დაკავშირებულ მხარეებთან დასაფარი ნაშთები იყო შემდეგი:

	2024	2023
მოთხოვნები იჯარის მომსახურებიდან	86,031	778
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	9,590	323
დავალიანება გადამზიდველებთან	(43,778)	(487,245)
მიღებული ავანსები	(17,751)	-

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლის და ხარჯის მუხლები შემდეგია:

	2024	2023
ტრანსპორტირების ხარჯები	(1,550,354)	(1,797,628)
შემოსავალი იჯარიდან	560,561	157,025
შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან	74,331	-
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	33,961	-

დირექტორი:

/ელგუჯა სოზაშვილი/

ბუღალტერი:

/ნატალია წიკლაური/

შპს „ჯი-ეს-ემ ტრანსი“

მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

2024 წლის საქმიანობის მიმოხილვა

1. კომპანიის ისტორია და განვითარება

შპს „ჯი-ეს-ემ ტრანსი“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული მუზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანიის“ ოფიციალური იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, ზაჰესის დასახლება, მ. წინამძღვრიშვილის ქ., N20.

„კომპანიის“ ძირითადი საქმიანობის სახე სატვირთო საგზაო სატრანსპორტო და გადაზიდვის მომსახურებაა.

კომპანიის დამატებითი საქმიანობაა უძრავი ქონების იჯარით გადაცემა.

შპს „ჯი-ეს-ემ ტრანსი“ რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში 2006 წლის 17 დეკემბრიდან. დამატებითი ღირებულების გადასახადის გადამხდელად „კომპანია“ რეგისტრირებულია 2007 წლის 10 თებერვლიდან.

„კომპანიის“ დირექტორი დაფუძნებიდან დღემდე არის ელგუჯა სოზაშვილი.

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორები არიან:

ელგუჯა სოზაშვილი (პ/ნ 01029008999) – 75% წილით;

დემნა სოზაშვილი (პ/ნ 01019067958) – 25% წილით.

ჩვენი ბიზნესი ვითარდება 18 წლიანი გამოცდილების, საქმისადმი ერთგულების, დაცული და დაზღვეული პასუხისმგებლობის საფუძველზე.

ჩვენი თანამშრომლობა ეფუძნება ნდობის, პასუხისმგებლობის და პატივისცემის პრინციპებს. ჩვენი ბაზარი მოიცავს ევროპის რამდენიმე ქვეყანასა და რუსეთს.

2. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

შპს-ს საქმიანობის ბოლო ორი წლის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები ასე გამოიყურება:

	31.12.2024	31.12.2023	სხვაობა წინა წელთან შედარებით	პროცენტული ცვლილება
აქტივების ჯამური ღირებულება	22,857,761	19,789,721	3,068,040	16%
ვალდებულებების ჯამური ღირებულება	414,309	1,003,473	(589,164)	(59%)
სულ კაპიტალი	22,443,452	18,786,248	3,657,204	19%
ერთობლივი შემოსავალი	17,952,273	17,047,223	905,049	5%
წლის მოგება	4,257,843	3,735,697	522,146	14%
მოგების წილი შემოსავალში	24%	22%		
უკუგება აქტივებზე	19%	19%		
უკუგება კაპიტალზე	20%	20%		

2024 წლის ფინანსური შედეგები კომპანიის სტაბილურ ზრდასა და გაუმჯობესებულ ფინანსურ მდგომარეობას ასახავს. ანგარიშგების წლის ბოლოს აქტივების ჯამური ღირებულება 22,857,761 ლარი შეადგინა, რაც 3,068,040 ლარით (16%-ით) აღემატება 2023 წლის მაჩვენებელს. ზრდასთან ერთად მნიშვნელოვანი ცვლილება დაფიქსირდა ვალდებულებების ნაწილშიც - მათი მოცულობა 589,164 ლარით შემცირდა და 414,309 ლარს გაუტოლდა, რაც წინა წელთან შედარებით 59%-ით ნაკლებია. აღნიშნული ცვლილება მიუთითებს კომპანიის ფინანსური სტრუქტურის გამყარებაზე და ვალდებულებების შემცირების გზით ფინანსური მდგრადობის ზრდაზე.

სულ კაპიტალის მოცულობა 2024 წლის ბოლოს 22,443,452 ლარს შეადგენდა, რაც 2023 წელთან შედარებით 3,657,204 ლარით (19%-ით) მეტია. კაპიტალის ზრდა ძირითადად განპირობებულია მიღებული მოგების რეინვესტირებით, თუმცა აღნიშნულ პერიოდში აქციონერებს ასევე გაუნაწილდათ დივიდენდი 600,639 ლარის ოდენობით.

2024 წელს ერთობლივი შემოსავალი 17,952,273 ლარს გაუტოლდა, რაც 905,049 ლარით (5%-ით) აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლების ზრდა შედარებით ზომიერია, წმინდა მოგება უფრო მაღალი ტემპით გაიზარდა და 4,257,843 ლარს მიაღწია, რაც 522,146 ლარით (14%-ით) აღემატება 2023 წლის შედეგს. ამასთან, მომგებიანობის დონე გაუმჯობესდა: მოგების წილი შემოსავალში 22%-დან 24%-მდე გაიზარდა, რაც ეფექტიანი ოპერაციული საქმიანობის შედეგია.

უკუგების მაჩვენებლები სტაბილურია: აქტივების უკუგება 19%-ს შეადგენს, ხოლო კაპიტალის უკუგება - 20%-ს. აღნიშნული მიგვითითებს, რომ კომპანიის მიერ მიღწეული ფინანსური შედეგები უზრუნველყოფს მოგების სტაბილურობასა და ეფექტიანობის შენარჩუნებას, ხოლო აქტივებისა და კაპიტალის ზრდა კიდევ უფრო აძლიერებს მის ბაზისურ პოზიციას და ზრდის მომავალში კიდევ უფრო მაღალი ფინანსური შედეგების მიღწევის პოტენციალს.

2024 წელს კომპანიის კუთვნილ ტერიტორიაზე დავიწყეთ მშენებლობა კომერციული ფართის, რომელსაც გავცემთ იჯარით.

ასევე 2024 წელს შეძენილია 12 სატრანსპორტო ერთეული და 5000 კვ.მ მიწის ნაკვეთი ქ.თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩაზე.

როგორც ხედავთ კომპანიის ყველა ანალიტიკური მაჩვენებელი ბევრად აღემატება კრიტიკულ ზღვარს და დადებითი ტენდენციით ხასიათდება. აღნიშნული მეტყველებს ფინანსური მდგომარეობის გუმჯობესებასა და ეკონომიკურ განვითარებაზე.

3. მისია და მიზნები

ჩვენი მისიაა შევქმნათ ისეთი მომსახურების სფერო, რომელიც უსაფრთხოდ და რაც შეიძლება მოკლე დროში მოახდენს ტვირთის გადაზიდვას სხვადასხვა ქვეყანაში.

რაც შეეხება მიზნებს:

გრძელვადიანი მიზნები: მომავალი 5 წლის მანძილზე გავზარდოთ ჩვენი შემოსავალი 25

პროცენტით, მოვიზიდოთ უფრო მეტი კლიენტი.

მოკლევადიანი მიზნები: გვქონდეს და განვახორციელოთ თანამედროვე პლატფორმაზე აწყობილი პროგრამა. ვიზრუნოთ თანამშრომელთა ცოდნის გადრეწვაზე

4. კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა

კომპანიაში 2024 წელს დასაქმებული იყო 79 ადამიანი, მათ შორის 22 ადმინისტრაციის თანამშრომელი და 57 მძღოლი. 2025 წელს ახალი მანქანების შეძენასთან ერთად იგეგმება დასაქმებულთა რიცხვის გაზრდა.

5. თანამშრომლების მოტივაცია და პროფესიული განვითარება

კომპანია ორიენტირებულია თანამშრომლების მოტივაციასა და პროფესიულ განვითარებაზე. გვაქვს საბონუსე სისტემა, ანაზღაურდება ზენორმატიული დატვირთვა. თანამშრომლებს აქვთ საშუალება განივითარონ უნარები და ცოდნა მათი სამუშაო მიმართულებით. ეს ყველაფერი განსაზღვრავს სტაბილურობას და კადრების დენადობის შემცირებას.

6. გარემოს დაცვა

მპს „ჯი-ეს-ემ ტრანსი“ ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად, ვცდილობთ შევამციროთ დროთა განმავლობაში ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე სხვადასხვა აქტივობებით, კერძოდ:

- ხდება ხსნარების შეცვლა მანქანებზე;
- ვანაცვლებთ ძველ მანქანებს მოდერნიზებული ახალი მანქანებით, რომლის გამონაბოლქვი ნაკლებად აზიანებს გარემოს;
- წელიწადში ერთხელ ჩვენი კომპანიის ტერიტორიაზე ვრგავთ ხეებსა და მცენარეებს.

7. ძირითადი რისკები და პრევენცია

იმისათვის, რომ ჩვენი საქმიანობა იყოს წარმატებული ვცდილობთ ყველა რისკი გავითვალისწინოთ, ამიტომ პირველ რიგში ვავლენთ რისკს, მის სახეს და ვაფასებთ რისკის დონეს. შემდეგ კი, ამ რისკების აღმოსაფხვრელად ვატარებთ შესაბამის ღონისძიებებს.

ჩვენთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რისკია სატრანსპორტო საშუალებების დაზიანება და მწყობრიდან გამოსვლა. ამ რისკის აღმოსაფხვრელად ჩვენ ვიღებთ შემდეგ ზომებს:

- სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა;
- სატრანსპორტო საშუალებების მონიტორინგი და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში მისი შეკეთება;
- ყველა სატრანსპორტო საშუალება ადჭურვილია სპეციალური ხელსაწყოებით, რაც საშუალებას აძლევს მძღოლს ადგილზევე აღმოფხვრას მსუბუქი ხარვეზი.

ასევე გასათვალისწინებელი და მნიშვნელოვანი რისკია, სავალუტო კურსის ცვლილება, რისი პრევენცია საკმაოდ დიდ სირთულესთანაა დაკავშირებული. სწორედ, ამიტომ გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში, კურსის ცვლილება, ჩვენს ფინანსურ მდგომარეობაზე დიდ გავლენას ახდენს. ამ რისკის აღმოსაფხვრელად და სტაბილურობის შენარჩუნებისთვის, ვცდილობთ დავარეგულიროთ ეს რისკი ხელშეკრულებებით.

დირექტორი:



/ელგუჯა სოზაშვილი/

5. თანამშრომლების მოტივაცია და პროფესიული განვითარება

კომპანია ორიენტირებულია თანამშრომლების მოტივაციასა და პროფესიულ განვითარებაზე. გვაქვს საბონუსე სისტემა, ანაზღაურდება ზენორმატიული დატვირთვა. თანამშრომლებს აქვთ საშუალება განივითარონ უნარები და ცოდნა მათი სამუშაო მიმართულებით. ეს ყველაფერი განსაზღვრავს სტაბილურობას და კადრების დენადობის შემცირებას.

6. გარემოს დაცვა

მპს „ჯი-ეს-ემ ტრანსი“ ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად, ვცდილობთ შევამციროთ დროთა განმავლობაში ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე სხვადასხვა აქტივობებით, კერძოდ:

- ხდება ხსნარების შეცვლა მანქანებზე;
- ვანაცვლებთ ძველ მანქანებს მოდერნიზებული ახალი მანქანებით , რომლის გამონაბოლქვი ნაკლებად აზიანებს გარემოს;
- წელიწადში ერთხელ ჩვენი კომპანიის ტერიტორიაზე ვრგავთ ხეებსა და მცენარეებს.

7. ძირითადი რისკები და პრევენცია

იმისათვის, რომ ჩვენი საქმიანობა იყოს წარმატებული ვცდილობთ ყველა რისკი გავითვალისწინოთ, ამიტომ პირველ რიგში ვავლენთ რისკს, მის სახეს და ვაფასებთ რისკის დონეს. შემდეგ კი, ამ რისკების აღმოსაფხვრელად ვატარებთ შესაბამის ღონისძიებებს.

ჩვენთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რისკია სატრანსპორტო საშუალებების დაზიანება და მწყობრიდან გამოსვლა. ამ რისკის აღმოსაფხვრელად ჩვენ ვიღებთ შემდეგ ზომებს:

- სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა;
- სატრანსპორტო საშუალებების მონიტორინგი და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში მისი შეკეთება;
- ყველა სატრანსპორტო საშუალება აღჭურვილია სპეციალური ხელსაწყოებით, რაც საშუალებას აძლევს მძღოლს ადგილზევე აღმოფხვრას მსუბუქი ხარვეზი.

ასევე გასათვალისწინებელი და მნიშვნელოვანი რისკია, სავალუტო კურსის ცვლილება, რისი პრევენცია საკმაოდ დიდ სირთულესთანაა დაკავშირებული. სწორედ, ამიტომ გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში, კურსის ცვლილება, ჩვენს ფინანსურ მდგომარეობაზე დიდ გავლენას ახდენს. ამ რისკის აღმოსაფხვრელად და სტაბილურობის შენარჩუნებისთვის, ვცდილობთ დავარეგულიროთ ეს რისკი ხელშეკრულებებით.

დირექტორი:

/ელგუჯა სოზაშვილი/